სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 ივლისი, 2026 წელი

ბრძანება №01-02/ 147

„ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების
თაობაზე“
ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანებაში **ცვლილების**
შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 04 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების **აკრედიტაციის დებულების** (მათ შორის №6 დანართი - **სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის** (დამტკიცებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს №141/ნ ბრძანებით; ვებგვერდზე გამოქვეყნებული - 30.08.2024 წ.), **„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 თებერვლის №06-01/129 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების №1 დანართის **(წესის):**

ა) მე-4 მუხლის შემდეგ **დაემატოს 4[1] მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 4[1]. შიდა მობილობა ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე **შიდა მობილობა** (საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა) ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების, წინამდებარე წესის, ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე - ასევე ერთობლივი პროგრამის განხორციელების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთობლივი ხელშეკრულების საფუძველზე.

2. ბსუ-ში შიდა მობილობის მსურველი **დოქტორანტი ვალდებულია** რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში და წესით წარმოადგინოს **ელექტრონულად,** ბსუ-ს სტუდენტური პორტალის - **portal.bsu.edu.ge** - „შიდა მობილობის“ მოდულის საშუალებით, **შემდეგი დოკუმენტაცია:**

ა) „ბსუ-ს დოქტორანტის შიდა მობილობის სააპლიკაციო განაცხადი“, შევსებული „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის“ №2 დანართის

შესაბამისად, ხოლო ბსუ-ს ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ,,განათლების მეცნიერებები" შიდა მობილობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს ,,ბსუ-ს ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ,,განათლების მეცნიერებები" ბსუ-ს დოქტორანტის შიდა მობილობის სააპლიკაციო განაცხადი", შევსებული ,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის" №3 დანართის შესაბამისად;

ბ) **განაცხადი** სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ (,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების" №**1 ფორმის** შესაბამისად შევსებული და დოქტორანტის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში - სამეცნიერო თანახელმძღვანელის) მიერ ხელმოწერილი ვერსია);

გ) კვლევითი პროექტის განხორციელების ინდივიდუალური ხედვა და ხელმძღვანელის თანხმობა (დოქტორანტის მიერ შედგენილი ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების" №**2 ფორმის** შესაბამისად და დოქტორანტის სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის (არსებობის შემთხვევაში - სამეცნიერო თანახელმძღვანელის) მიერ ხელმოწერილი ვერსია);

დ) საკვლევი მიმართულების შესაბამისი ნაშრომი/პუბლიკაცია **ან/და** სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის **ან/და** შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ **2-წლიანი** პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები (გამოქვეყნებული პუბლიკაციის ან/და სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ან/და პროფესიული საქმიანობის დამადასტურებელი **ცნობა/ცნობები**). აღნიშნული ინფორმაცია ბსუ-ს დოქტორანტის მიერ შეტანილი უნდა იქნეს მის მიერ წარმოსადგენ **ფორმაში** (,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების" ფორმა №**2**);

ე) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს ბსუ-ს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა (ან ერთობლივი სადოქტორო პროგრამა) და შიდა მობილობის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება.

3. ბსუ-ს დოქტორანტების შიდა მობილობის სააპლიკაციო განაცხადებს განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტი და ადგენს შიდა მობილობის მსურველის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამასთან **თავსებადობისა და კრედიტების აღიარების დასკვნას**, საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული „კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის", წინამდებარე წესის და შესაბამისი სადოქტორო პროგრამის მოთხოვნათა დაცვით.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით მომზადებული კრედიტების აღიარების დასკვნის ელექტრონული ვერსია (ხელმოწერილი და სკანირებული) აიტვირთება ბსუ-ს პორტალის „შიდა მობილობის" მოდულის შესაბამის ველში, რომელსაც ადასტურებს ფაკულტეტის დეკანი.

5. შიდა მობილობის (პროგრამის შეცვლის/სასწავლო პროცესში დაბრუნების/სტატუსის გააქტიურების) მსურველმა ბსუ-ს სტუდენტმა/სტატუსშეჩერებულმა სტუდენტმა, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ მომზადებული კრედიტების აღიარების დასკვნის გაცნობის შემდეგ, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში და წესით, ბსუ-ს სტუდენტური პორტალის შიდა მობილობის მოდულის საშუალებით უნდა დააფიქსიროს ელექტრონულად თანხმობა ან უარყოფა კრედიტების აღიარების დასკვნაზე.

6. ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტი ელექტრონულ ადმინისტრირებას უწევს კრედიტების აღიარების დასკვნების შიდა მობილობის (პროგრამის

შეცვლის/სასწავლო პროცესში დაბრუნების/სტატუსის გააქტიურების) მსურველთათვის გაცნობის და კრედიტების აღიარების დასკვნაზე მათი ელექტრონული თანხმობის/უარყოფის ასახვას (უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ფორმატით/წესით).

7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე **შიდა მობილობის (პროგრამის შეცვლის) მსურველისათვის,** ვინც **განაცხადებს თანხმობას** მიმღები ფაკულტეტის მიერ მომზადებულ კრედიტების აღიარების დასკვნაზე, ფაკულტეტის მიერ ხორციელდება დოქტორანტისათვის ჩასატარებელი **გამოცდების დაგეგმვა-ორგანიზება**, მათ შორის: სამართლებრივი აქტების პროექტების ინიცირება ბსუ-ს რექტორთან, შიდა მობილობის მსურველთა ინფორმირებისათვის ბსუ-ს ვებგვერდზე შესაბამისი განცხადების ტექსტის მომზადება, შიდა მობილობის მსურველთა დამატებითი კონსულტირება და სხვა (**შენიშვნა:** „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების" თანახმად, დოქტორანტურაში მიღებისათვის სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე ან სხვა, დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული) ერთ-ერთი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ B1 დონეზე. დოქტორანტურაში მიღებისათვის **პირმა უნდა ჩააბაროს გამოცდები:** 1. სპეციალობაში - გასაუბრება; 2. უცხო ენაში - გამოცდა (ტესტირება) ან/და დაადასტუროს უცხო ენის ცოდნა - წარმოადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

8. ბსუ-ს დოქტორანტი, რომელიც მოიპოვებს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე გადასვლის უფლებას, ვალდებულია **გააფორმოს ახალი ხელშეკრულება,** ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში და ბსუ-ს სტუდენტის პირად საქმეში განთავსებისათვის **წარმოადგინოს განახლებული დოკუმენტაცია, მათ შორის:**

ა) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

ბ) 2 ფოტოსურათი ზომით 3X4–ზე და ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

გ) სრული ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში));

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანებისა და სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის დამოწმებული ასლი;

ვ) **სასწავლო ბარათის** დამოწმებული ასლი/ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების (კომპონენტების) შესახებ.".

ბ) „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესს" დაემატოს ,,ბსუ-ს დოქტორანტის შიდა მობილობის სააპლიკაციო განაცხადის" **ფორმა, ამ** წესის **№2 დანართის სახით** (თანდართული);

გ) „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესს" დაემატოს ,,ბსუ-ს ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე ,,განათლების მეცნიერებები" ბსუ-ს დოქტორანტის შიდა მობილობის სააპლიკაციო განაცხადის" **ფორმა, ამ** წესის **№3 დანართის სახით** (თანდართული).

2. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული „ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესი“ და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“; ,,სტუდენტთა გზამკვლევი“) და ბსუ-ს პორტალზე.

3. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

„ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანებაში **ცვლილების შეტანის შესახებ“**

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 ივლისის №01-02/ 147 ბრძანების დანართი

„ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის“

№2 დანართი

ბსუ-ს დოქტორანტის შიდა მობილობის სააპლიკაციო განაცხადი	
შიდა მობილობის მსურველი ბსუ-ს დოქტორანტის **სახელი და გვარი**	
პირადი ნომერი	
მოქალაქეობა	
ფაქტობრივი მისამართი (ქალაქი, ქუჩა, სახლის/ბინის ნომერი)	
რეგისტრაციის მისამართი (ქალაქი, ქუჩა, სახლის/ბინის ნომერი)	
ელფოსტა	
ტელ. ნომერი (მობილური)	
მიღებული განათლება (დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე)	სწავლის პერიოდი:
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:
	მინიჭებული აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია):
უცხო ენის ფლობა **(შენიშვნა:** დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს **მოეთხოვება** ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ **B2** დონეზე **ან** სხვა, **დასავლეთევროპული** (ფრანგული, გერმანული) ერთ-ერთი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ **B2** დონეზე **და ინგლისური** ენის ცოდნა არანაკლებ **B1** დონეზე; იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, **მოეთხოვება** ამ უცხოური ენის **C1 დონეზე** ცოდნა;	ინგლისური ენის ცოდნის დონე: ○ B1 ○ B2 ○ C1 ○ C2 ○ სხვა: დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული) ენის ცოდნის დონე: ○ B1 ○ B2 ○ C1 ○ C2 ○ სხვა: **(შენიშვნა:** მონიშნეთ შესაბამისი დონე)
ბსუ-ს იმ სადოქტორო პროგრამის დასახელება, რომელზეც ამჟამად სწავლობს **შიდა მობილობის** მსურველი დოქტორანტი (საიდანაც გადასვლის სურვილი აქვს)	
სტუდენტის სტატუსი (აქტიური/შეჩერებული) **ბსუ-ს იმ სადოქტორო პროგრამაზე,** სადაც ამჟამად სწავლობს **შიდა მობილობის** მსურველი დოქტორანტი.	○ **აქტიური** ○ **შეჩერებული** (№ ....., .../...../ 20..... წლის ბრძანებით) სტატუსის შეჩერების მიზეზი: 1. სწავლის საფასურის დავალიანება; 2. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა; 3. პირადი განცხადება;

	4. პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლა; 5. სხვა ....
ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე **ათვისებული კომპონენტები:** 1. **სასწავლო კომპონენტი** ---- 2. **კვლევითი კომპონენტი** (სადისერტაციო ნაშრომის/კვლევითი პროექტის დასახელება, რომელზეც მუშაობდა/მუშაობს დოქტორანტი და განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი (სემინარი, პროექტი, კოლოკვიუმი, სამეცნიერო პროექტი ან სხვა)	1.. 2..
ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო **პროგრამის დასახელება,** რომელზე გადასვლის **(შიდა მობილობის)** სურვილი აქვს ბსუ-ს დოქტორანტს (შემდეგში - შიდა მობილობის მსურველი)	
ბსუ-ს სადოქტორო ნაშრომის **(დისერტაციის)** კვლევითი პროექტის **თემის დასახელება** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად), რომელზეც სურს იმუშაოს დოქტორანტმა **შიდა მობილობის შემდეგ**	
ბსუ-ში სავარაუდო **სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი,** თანამდებობა (რომლის <u>თანხმობა მოპოვებულია)</u> **ბსუ-ში** სავარაუდო **სამეცნიერო თანახელმძღვანელის** (არსებობის შემთხვევაში) <u>სახელი, გვარი, თანამდებობა</u> (რომლის თანხმობა მოპოვებულია)	**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** სახელი: გვარი: თანამდებობა (უსდ-ს, ფაკულტეტის მითითებით): ---------- **სამეცნიერო თანახელმძღვანელი:** სახელი: გვარი: თანამდებობა (უსდ-ს, ფაკულტეტის მითითებით):
ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების თანდართული №**1 ფორმის** შესაბამისად შევსებული ,,<u>სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ განაცხადის</u>" წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია	○ დიახ (თან ერთვის სააპლიკაციო განაცხადს) ○ არა (განმარტეთ მიზეზი) -----
ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების თანდართული №**2 ფორმის** შესაბამისად შევსებული **,,კვლევითი პროექტის** განხორციელების ინდივიდუალური ხედვა და ხელმძღვანელის თანხმობის" <u>წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია</u>	○ დიახ (თან ერთვის სააპლიკაციო განაცხადს) ○ არა (განმარტეთ მიზეზი) -----
სხვა ინფორმაცია, კანდიდატის (შიდა მობილობის მსურველის) შეხედულებით	
ვადასტურებ წინამდებარე სააპლიკაციო განაცხადში მითითებული ინფორმაციის სისწორეს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობას	**აპლიკანტის სახელი და გვარი** (სრულად) ---------- **ხელმოწერა:** ----------
შიდა მობილობის მსურველის მიერ აპლიკაციის შევსების და წარმოდგენის **თარიღი**	

„ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანებაში **ცვლილების შეტანის შესახებ“**
ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 ივლისის №01-02/147 ბრძანების დანართი

„ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის“
№3 დანართი

ბსუ-ს ერთობლივ სადოქტორო პროგრამაზე „განათლების მეცნიერებები“ ბსუ-ს დოქტორანტის შიდა მობილობის სააპლიკაციო განაცხადი	
შიდა მობილობის მსურველი ბსუ-ს დოქტორანტის **სახელი და გვარი**	
პირადი ნომერი	
მოქალაქეობა	
ფაქტობრივი მისამართი (ქალაქი, ქუჩა, სახლის/ბინის ნომერი)	
რეგისტრაციის მისამართი (ქალაქი, ქუჩა, სახლის/ბინის ნომერი)	
ელფოსტა	
ტელ. ნომერი (მობილური)	
მიღებული განათლება (დოქტორანტურაში ჩარიცხვამდე)	სწავლის პერიოდი:
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:
	მინიჭებული აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია):
უცხო ენის ფლობა **(შენიშვნა:** დოქტორანტურაში მიღებისათვის სავალდებულოა ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ **B2** დონეზე **ან** სხვა, **დასავლეთევროპული** (ფრანგული, გერმანული) ერთ-ერთი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ **B2** დონეზე **და ინგლისური** ენის ცოდნა არანაკლებ **B1** დონეზე; იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი სამეცნიერო კვლევის ემპირიულ ბაზად ირჩევს ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ ენას, **მოეთხოვება** ამ უცხოური ენის **C1 დონეზე** ცოდნა;	ინგლისური ენის ცოდნის დონე: ○ B1 ○ B2 ○ C1 ○ C2 ○ სხვა: დასავლეთევროპული (ფრანგული, გერმანული) ენის ცოდნის დონე: ○ B1 ○ B2 ○ C1 ○ C2 ○ სხვა: **(შენიშვნა:** მონიშნეთ შესაბამისი დონე)
ბსუ-ს იმ სადოქტორო პროგრამის დასახელება, რომელზეც ამჟამად სწავლობს **შიდა მობილობის** მსურველი დოქტორანტი (საიდანაც გადასვლის სურვილი აქვს)	
სტუდენტის სტატუსი (აქტიური/შეჩერებული) **ბსუ-ს იმ სადოქტორო პროგრამაზე,** სადაც ამჟამად	○ **აქტიური** ○ **შეჩერებული** (№ ....., .../...../ 20..... წლის ბრძანებით)

სწავლობს **შიდა მობილობის** მსურველი დოქტორანტი.	<u>სტატუსის შეჩერების მიზეზი:</u> 1. სწავლის საფასურის დავალიანება; 2. აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა; 3. პირადი განცხადება; 4. პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლა; 5. სხვა ....
გსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე **ათვისებული კომპონენტები:** 1. **სასწავლო კომპონენტი** ---- 2. **კვლევითი კომპონენტი** (სადისერტაციო ნაშრომის/კვლევითი პროექტის დასახელება, რომელზეც მუშაობდა/მუშაობს დოქტორანტი და განხორციელებული აქტივობების ჩამონათვალი (სემინარი, პროექტი, კოლოკვიუმი, სამეცნიერო პროექტი ან სხვა)	1.. 2..
საკვლევი თემის **დასახელება,** რომელზეც სურს იმუშაოს დოქტორანტმა **შიდა მობილობის შემდეგ**	
სავარაუდო **სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი,** თანამდებობა (რომლის <u>თანხმობა მოპოვებულია)</u> სავარაუდო **სამეცნიერო თანახელმძღვანელის** (არსებობის შემთხვევაში) <u>სახელი, გვარი, თანამდებობა</u> (რომლის თანხმობა მოიპოვა შიდა მობილობის მსურველმა)	**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** სახელი: გვარი: თანამდებობა (უსდ-ს, ფაკულტეტის მითითებით): ---------- **სამეცნიერო თანახელმძღვანელი:** სახელი: გვარი: თანამდებობა (უსდ-ს, ფაკულტეტის მითითებით):
სხვა ინფორმაცია, კანდიდატის (შიდა მობილობის მსურველის) შეხედულებით	
სააპლიკაციო განაცხადზე თანდართული დოკუმენტაცია:	1..... 2..... 3. ..... 4. .....
ვადასტურებ წინამდებარე სააპლიკაციო განაცხადში მითითებული ინფორმაციის სისწორეს და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობას	
შიდა მობილობის მსურველის მიერ აპლიკაციის შევსების და წარმოდგენის **თარიღი**	**აპლიკანტის სახელი და გვარი** (სრულად) ..... **ხელმოწერა:** ----------